www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში

2018

ივნისი

20.07.2018

www.geostat.ge

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში

2018 წლის ივნისი

2018 წლის ივნისში სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით 1,1 პროცენტით შემცირდა, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით 6,8 პროცენტით გაიზარდა.

წინა თვესთან შედარებით ფასები 1,3 პროცენტით შემცირდა გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ჯგუფზე და შესაბამისმა წვლილმა ინდექსის პროცენტული ცვლილების საერთო მაჩვენებელში -1,03 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ჯგუფში ფასების კლება დაფიქსირდა კვების პროდუქტებზე, სასმელებსა და თამბაქოს ნაწარმზე (-1,5 პროცენტი), ძირითად ლითონებსა და ლითონის მზა ნაწარმზე (-4,1 პროცენტი), ასევე სხვა არალითონის მინერალურ ნაწარმზე (-0,5 პროცენტი).

ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და ცხელი წყლის ჯგუფზე ფასები შემცირდა 0,4 პროცენტით, რაც მთლიანი ინდექსის ცვლილებაზე -0,06 პროცენტული პუნქტით აისახა.

12 თვიან პერიოდში ინდექსის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ პროდუქტებზე:

- გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია: ფასები გაიზარდა 5,1 პროცენტით, რამაც მთლიანი ინდექსის ზრდაზე 4,22 პროცენტული პუნქტით იმოქმედა. ფასები გაიზარდა ძირითად ლითონებსა და ლითონის მზა ნაწარმზე (13,5 პროცენტი), ასევე კვების პროდუქტებზე, სასმელებსა და თამბაქოს ნაწარმზე (3,6 პროცენტი);

- ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და ცხელი წყალი: დაფიქსირდა ფასების 14,6 პროცენტიანი ზრდა, რაც მთლიანი ინდექსის ცვლილებაზე 1,97 პროცენტული პუნქტით აისახა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი (წინა თვესთან და წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით) და მის ფორმირებაში მონაწილე ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები.

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში
2018 წლის ივნისი

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2018 წლის მაისთან	წვლილი* თვის ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში	2017 წლის ივნისთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	98.9	-1.06	106.8	6.76
C	სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია	100.5	0.03	113.6	0.58
CA	ქვანახშირი და ლიგნიტი; ტორფი; ნედლი ნავთობი და ბუნებრივი აირი; ურანი და თორიუმი	99.9	0.00	141.5	0.24
CB	ლითონის მადნები და სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების სხვა პროდუქცია	100.5	0.03	110.1	0.34
D	გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია	98.7	-1.03	105.1	4.22
DA	კვების პროდუქტები, სასმელები და თამბაქოს ნაწარმი	98.5	-0.55	103.6	1.36
DB	ტექსტილი და საფეიქრო ნაწარმი	99.3	-0.01	96.9	-0.06
DC	ტყავი და ნაწარმი ტყავისაგან	100.0	0.00	98.1	-0.01
DD	მერქანი და მერქნის ნაწარმი	99.9	0.00	103.1	-0.17
DE	ცელულოზა, ქაღალდი და ქაღალდის ნაწარმი; ინფორმაციის მატარებლები; პოლიგრაფიული მომსახურება	100.1	0.00	100.9	0.03
DF	კოქსი, ნავთობის გადამუშავების პროდუქტები და ბირთვული სათბობი	101.7	0.01	116.6	0.09
DG	ქიმიური ნივთიერებები, ქიმიური პროდუქტები და ქიმიური ბოჭკოები	100.1	0.01	105.5	0.41
DH	რეზინისა და პლასტმასის ნაწარმი	101.3	0.04	114.4	0.40
DI	სხვა არალითონის მინერალური ნაწარმი	99.5	-0.05	101.7	0.17
DJ	ძირითადი ლითონები და ლითონის მზა ნაწარმი	95.9	-0.46	113.5	1.94
DK	მანქანები და მოწყობილობები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	99.7	0.00	104.3	0.02
DL	ელექტრული და ოპტიკური მოწყობილობები	100.0	0.00	91.0	-0.09
DM	სატრანსპორტო მოწყობილობები	100.0	0.00	106.1	0.05
DN	სხვა სამრეწველო საქონელი, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	99.8	0.00	103.5	0.06
E	ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და ცხელი წყალი	99.6	-0.06	114.6	1.97

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი

(წინა თვე = 100)



სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი

(წინა წლის შესაბამისი თვე =100)



სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი

(12 თვის საშუალო წინა 12 თვის საშუალოსთან)



საკონტაქტო პირი: გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400). ელფოსტა: gtetrauli@geostat.ge